

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N__

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში საცურო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს, ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის საცურო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების (შემდგომში-მომსახურება) დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 2. ქვეპროგრამით მოსარგებლები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები (შემდგომში – მოსარგებლები).

2. მოსარგებლებს ქვეპროგრამაში ჩართვის შემდეგ დაუფინანსდებათ აუზზე ცურვის ან/და ფიტნეს დარბაზის 1-საათიანი ხანგრძლივობის მომსახურება. მომსახურება მოიცავს თვეში არაუმეტეს 9 ვიზიტს.

3. მოსარგებლებს მომსახურების მიღება შეუძლიათ 11:00 საათიდან 14:00 საათამდე პერიოდში.

მუხლი 3. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება მოსარგებლისათვის მომსახურების მისაღებად საჭირო ბარათის გადაცემის გზით ან მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში შესაბამისი რაოდენობის ვიზიტის ელექტრონულად ასახვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბარათი, მოსარგებლებს გადაეცემათ სარგებლობაში უსასყიდლოდ, ხოლო დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ბარათის ხელმეორედ დამზადების საფასურს იხდის მოსარგებლე.

4. მომსახურების მიმწოდებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ თბილისის გლდან-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ (ს/ნ 400085572) (შემდგომში - მომსახურების მიმწოდებელი).

მუხლი 4. მოსარგებლების ჩართვა ქვეპროგრამაში

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ დაფინანსებას მიიღებენ, საქართველოს მოქალაქეები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები, რომლებიც გამოცხადებიან მომსახურების მიმწოდებელთან და შეავსებენ მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ სარეგისტრაციო დოკუმენტაციას.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თვეში არაუმეტეს 300 მოსარგებლე.

3. მოსარგებლებმა მომსახურების მიმწოდებელს უნდა წარუდგინონ:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ.

გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა).

4. მოსარგებლებს აქვთ მომსახურების მიმწოდებლის საცურაო აუზის ან/და ფიტნეს დარბაზის თავისუფალი არჩევის საშუალება.

5. მომლოდინეთა რეესტრში ხვდებიან მოსარგებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. რიგის ფორმირების შემთხვევაში, ვაკანტური ადგილის გამოჩენისას, მომლოდინეთა რეესტრში არსებულ მოსარგებლეთა ჩართვა მოსარგებლეთა სიაში ხდება რიგითობის დაცვით.

6. ვაკანტური ადგილის გამოჩენის შემთხვევაში, მომლოდინე 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობას აცხადებს ვაკანტური ადგილის დაკავებაზე. თუ მომლოდინეთა რეესტრში დარეგისტრირებული პირი 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობას არ განაცხადებს ვაკანტური ადგილის დაკავების თაობაზე, მას შეეცვლება რიგითობა მომლოდინეთა რეესტრში.

7. მომლოდინეთა რეესტრში რეგისტრაცია უწყდება მოსარგებლეს, თუ იგი უარს აცხადებს ქვეპროგრამაში ჩართვაზე.

8. მოსარგებლისთვის დაფინანსების შეწყვეტის და ქვეპროგრამიდან გასვლის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) მომსახურების მიმწოდებელთან თვეში 5 (ხუთი) ვიზიტზე გამოუცხადებლობა (საკატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტოვებული ვიზიტი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით). განხორციელებული ვიზიტები ექვემდებარება ანაზღაურებას;

ბ) მოსარგებლის მიმართვა ქვეპროგრამიდან გასვლის შესახებ.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსება

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამსახურში წარდგენილი ერთი ვიზიტის ფასის შესაბამისად (არაუმეტეს 4 (ოთხი) ლარი).

2. ერთი ვიზიტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) ლარს. სამსახურის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება თვეში არაუმეტეს 9 (ცხრა) ვიზიტი.

მუხლი 6. ანგარიშგება

1. გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მომსახურების მიმწოდებელი სამსახურს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას (მოსარგებლეთა რეესტრი და მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

2. მომსახურების მიმწოდებელი აწარმოებს მოსარგებლეთა დასწრების ელექტრონულ აღრიცხვას.

3. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ფორმას ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

მუხლი 7. მოსარგებლეებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

1. მომსახურების მიმწოდებლის შემოწმებას, საჭიროებისამებრ, ახორციელებს სამსახური. შემოწმებისას ხდება მომსახურების მიმწოდებელთან სამსახურის უფლებამოსილი პირის (შემდგომში – შემმოწმებელი) ვიზიტი და გაწეული მომსახურების შესახებ, სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება. შესაძლებელია, მოსარგებლეებთან და მომსახურების მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება.

2. თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამსახურში წარდგენილი მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტაცია) არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში, ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

მუხლი 8. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება

1. მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამსახურში წარდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებას ახორციელებს სამსახური.

2. წარდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, სამსახური აცნობებს მომსახურების მიმწოდებელს აღმოჩენილი შეუსაბამობის შესახებ და განუსაზღვრავს 5 (ხუთი) სამუშაო დღეს, შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად და დოკუმენტაციის თავიდან წარსადგენად.

3. მომსახურების მიმწოდებლის მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაუცველობის შემთხვევაში, დოკუმენტები განიხილება, როგორც დაგვიანებით წარდგენილი და ანაზღაურდება მომდევნო თვეში.

მუხლი 9. გაწეული მომსახურების ანაზღაურება

1. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად წარმოდგენილი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად:

ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა;

ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

2. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, მომსახურების მიმწოდებელსა და სამსახურს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (დამტკიცებული სამსახურის უფროსის მიერ) 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა

მომსახურების მიმწოდებელს, მეორე ეგზემპლარი რჩება სამსახურთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი ეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს.

3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამსახურში წარდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს, რის შესახებაც ეცნობება მომსახურების მიმწოდებელს.

4. სამსახური განიხილავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტებს, სამსახურში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და შეუსაბამობის არ არსებობის შემთხვევაში, მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, მომსახურების მიმწოდებლისათვის თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს მოქალაქეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების ფიზიკური აქტივობის წახალისების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, სოციალური კეთილდღეობის ამაღლების, ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, პროექტით მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) (შემდგომში - ქვეპროგრამა) მოსარგებლების კატეგორია, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლების ქვეპროგრამაში ჩართვის, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობები. ასევე, პროექტი ითვალისწინებს, ქვეპროგრამის მოსარგებლებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და მიწოდებული მომსახურების ანაზღაურების წესს.

პროექტის მიხედვით, ქვეპროგრამით მოსარგებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები, რომლებსაც დაუფინანსდებათ აუზზე ცურვის და ფიტნეს დარბაზით სარგებლობის 1-საათიანი მომსახურება. მომსახურება მოიცავს თვეში არაუმეტეს 9 ვიზიტს, დღის განსაზღვრულ მონაკვეთში - 11:00 საათიდან 14:00 საათამდე. მომსახურების მიმწოდებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ თბილისის გლდანი-ნამალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ (ს/ნ 400085572) (შემდგომში - მომსახურების მიმწოდებელი).

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში წარდგენილი ერთი ვიზიტის ფასის შესაბამისად, არაუმეტეს 4 (ოთხი) ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თვეში არაუმეტეს 300 მოსარგებლე. პროექტი ითვალისწინებს მოსარგებლისთვის დაფინანსების შეწყვეტის და ქვეპროგრამიდან

გასვლის საფუძვლებს, კერძოდ: ა) მოსარგებლის მიმწოდებელთან თვეში 5 ვიზიტზე გამოუცხადებლობა (საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოტოვებული ვიზიტი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით); ბ) მომსახურების მოსარგებლის მიმართვა ქვეპროგრამიდან გასვლის შესახებ. მიმწოდებლის შემოწმებას, საჭიროებისამებრ, განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.